რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავი

# ქართველი ხალხი მხურვალედ მიესალმება მოძმე აზერბაიჯანს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 105 (2468) ◉ შაბათი, 30 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

## ზეიმობს მზიური აზერბაიჯანი

დიდი ზეიმით აღნიშნა აზერბაიჯანელმა ხალხმა ისტორიული დღესასწაული — რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავი. მთელს რესპუბლიკაში, მის დედაქალაქ ბაქოში, ქალაქებსა და რაიონებში ამ დღეებში ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ქუჩასა და კუთხეში საზეიმო ელფერი და გამოცოცხლება სუფევს.

აზერბაიჯანის მშრომელთა ამ ზეიმს იზიარებს მთელი საბჭოთა ხალხი. ყოველი მხრიდან ჩამოვიდნენ აქ, საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

28 მაისს ბაქოს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი. მასთან ერთად ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. გ. იგნატოვი.

მოძმე ხალხის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად აზერბაიჯანის დედაქალაქს ესტუმრა საქართველოს სსრ დელეგაციაც, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე. ზეიმს ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე გ. ნ. ბოჩკარიოვი.

აზერბაიჯანელი ხალხის სადღესასწაულო სიხარულის გასაზიარებლად და მოძმე რესპუბლიკათა მშრომელების მისალმებისა და კეთილი სურვილების გადასაცემად ბაქოში ჩავიდნენ აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის, ბაშკირეთის, დაღესტნისა და სხვა დელეგაციები.

გუშინ, 29 მაისს, ბაქოს ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო-საიუბილეო სხდომა, რომელმაც უდიდესი აღმავლობით ჩაიარა.

## სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სრულიად საკავშირო კონფერენციას და მისი სახით ყველა საბჭოთა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს, მწვრთნელსა და ფიზიკური კულტურის მასწავლებელს.

ფიზიკური კულტურა სოციალიზმის პირობებში კულტურული მშენებლობის განუყოფელი ნაწილი, ხალხის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. ახლა ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები — ყოველი ღონისძიებით განავითაროს მასობრივი გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და განსაკუთრებით სკოლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. სპორტული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მთლიანად გამოიყენონ უაღრესად ხელშემწყობი პირობები, რომლებსაც სოციალისტური წყობილება ქმნის, აგრეთვე ფართო მასების ინიციატივა იმისათვის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი დანერგონ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, მოაწყონ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელი და აქტიური დასვენება, განუხრელად ზარდონ სპორტული შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ფიზკულტურელები და სპორტსმენები კვლავაც იქნებიან კომუნიზმის აქტიური მშენებლები, ენერგიულად მიიღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იქნებიან ჩვენი ქვეყნის მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზატორები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა სპორტსმენებს უსურვებს მოიპოვებინოთ ახალი სასახელო გამარჯვებანი და მაღლა სჭეროდეთ ჩვენი სამშობლოს დროშა XVIII საზაფხულო ოლიმპიურ ასპარეზობაზე.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## დიდი ფორუმი

28 მაისს აღმაფრთოვანებელი მოვლენით აღინიშნა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციის გახსნა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. თ. ილიჩოვმა.

საანგარიშო მოხსენება კავშირის არსებობის ხუთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. დ. მაშინმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

საბჭოთა ფიზკულტურელების წარმომადგენლები, რომლებიც კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ამ კონფერენციაზე შეიკრიბნენ, განიხილავდნენ სპორტკავშირის წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს. დელეგატებმა მქუხარე ტაშის გრიალში მიიღეს კონფერენციის მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

კონფერენციის მონაწილეებმა დასახეს შემდგომი მუშაობის პროგრამა.

გუშინ კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

## მოსკოვიდან, ქართველი ძმების სახელით!

მხურვალედ მოგესალმებით, ჩემო დებო და ძმებო, ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქიდან — მოსკოვიდან — აზერბაიჯანელი ქალი, რომელიც საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული დელეგაციის შემადგენლობაშია სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის II სრულიად საკავშირო კონფერენციაზე.

აზერბაიჯანელი ხალხის ზეიმის რაოდენ სიმბოლური გამოხატულებაა ეს გარემოება! ერთი ისტორიული ბედი ხვდათ აზერბაიჯანელ, ქართველ და სომეხ ხალხებს, რომლებიც საერთო ძალებით ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობლებს და ერთადვე მონახეს უტყუარი გზა რუს ხალხთან, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან გაერთიანებისაკენ. და აი, დღეს პირადად მე, აზერბაიჯანელი ხალხის შვილი, გატაცებით ვშრომობ მოძმე საქართველოში და ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად ვსახავ მოსკოვში, კონფერენციაზე, სამამულო ფიზკულტურისა და სპორტის მომავალი განვითარების გეგმებს.

**ე. ჰასანოვა,**
თბილისის სპორტკლუბ „გამარჯვების" ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

მოსკოვი.

## ღირსეულ მეტოქეებს, მეგობრებს!

ხელბურთი შედარებით გვიან დაინერგა როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ მან ამ ორ მოძმე რესპუბლიკაში ერთდროულად აიდგა ფეხი. აზერბაიჯანელი და ქართველი სპორტსმენები ერთად ვიკაფავდით გზას.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკების ხელბურთელები სსრ კავშირის უძლიერესი კოლექტივების რიგებში ვართ. ეს ნაყოფია ჩვენი ძმობისა, მეგობრული მატჩებისა და საქმისადმი დიდი სიყვარულისა.

დღეს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმობს აზერბაიჯანის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის 150 წლისთავს, ქართველი ხელბურთელები მხურვალედ გესალმებით თქვენ, ძვირფასო ძმებო და მეგობრებო, სპორტულ სარბიელზე ჩვენო ღირსეულო მეტოქეებო!

**თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა გუნდი.**

## საათს!

**პარიზი.** საბჭოთა კალათბურთელ ქალთა ნაკრების ორ გამარჯვებას (71:33, 57:44) საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან ფართოდ გამოეხმაურა როგორც დედაქალაქის, აგრეთვე მიულუზისა და ლიონის პრესა. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ მოსეშვილის, ტრავინისა და ალაჩაჩიანის ბრწყინვალე თამაშს.

**პარიზი.** საბჭოთა ძიუდოისტები ფრანგ მოჭიდავეებს მეორე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ქ. ტურში შეხვდნენ. ფრანგი მაყურებელი იმედოვნებდა, რომ მასპინძლები შეძლებდნენ რევანშის აღებას პირველი მარცხისთვის (3:4). მაგრამ ჩვენმა სპორტსმენებმა დიდი უპირატესობით იჭიდავეს: 3 შეხვედრა მოიგეს, ხოლო 6 — ფრედ დაამთავრეს. კვლავ წარმატებით გამოვიდნენ მძიმე წონის მოჭიდავეები ფ. ჩიკვილაძე (დაამარცხა დესაი) და ა. კიკნაძე (მოუგო ლემუანს).

**ბუდაპეშტი.** აქ დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა შეჯიბრება, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ასპარეზობა უნგრელთა უპირატესობით დამთავრდა. მათი ოთხივე გუნდი ხუთეულში მოხვდა. საბჭოთა გუნდი მესამე ადგილზეა.

პირად ჩათვლაშიც გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა ს. ბალცომ (5.231 ქულა). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ა. მაკეევი (4.912) — V ადგილი.

## 1. სსრ კავშირი — შვეცია




... გლოტოვმა, გუსაროვმა და ჰუსაინოვმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს. ჰუსაინოვმა ფინტით აუარა გვერდი ბილდს და ბურთი გადასცა მარცხნიდან შემოჭრილ პონედელნიკს, რომელიც მეკარის პირისპირ გავიდა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## ივნისი — ფეხბურთის თვე

ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში დადგა ანტრაქტი, რომელიც თითქმის ერთ თვეს გასტანს. და მაინც, ივნისი ფეხბურთის თვე იქნება. 8 ივნისს სსრ კავშირის ნაკრები გაფრინდება საფრანგეთში, სადაც 10 და 12 ივნისს პარიზსა და მარსელში ორ საწვრთნელ მატჩს გამართავს ადგილობრივ გუნდებთან. ეს იქნება უკანასკნელი რეპეტიციები ევროპის თასის გათამაშების გადამწყვეტი შეხვედრების წინ, რომლებიც 17 და 21 ივნისს გაიმართება ესპანეთში. ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირისა და დანიის ნახევარფინალური მატჩი მოეწყობა მადრიდში და არა ბარსელონაში, როგორც ეს ადრე იყო განზრახული. ბარსელონაში შეხვდებიან ერთმანეთს მეორე ნახევარფინალისტები — უნგრეთისა და ესპანეთის გუნდები.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები 31 მაისს ლაიფციგში შეხვდება გდრ-ის ოლიმპიელებს. მატჩი დაიწყება 19 საათზე თბილისის დროით. მოეწყობა მატჩის გადაცემა რადიოთი და ტელევიზიით. ამ ქვეყნების ოლიმპიელთა მეორე თამაში გაიმართება 7 ივნისს, მოსკოვში.

ამჟამად სსრ კავშირში ტურნეს ამთავრებს რუმინეთის გუნდი „უტა" (ქ. არადი). მოსკოვში, კიევში, ალმა-ატასა და ტაშკენტში გამოვა „ნასიონალი" (მონტევიდეო), ხოლო კიევში, ლენინგრადსა და მოსკოვში სამ მატჩს ჩაატარებს ნიდერლანდების ახალგაზრდული ნაკრები. ლენინგრადის „ზენიტი" მონაწილეობას მიიღებს ფლორენციაში გამართულ ტურნირში. „ჰაიდუკი" (იუგოსლავია) ითამაშებს მოსკოვში, კიევსა და დონის როსტოვში. თბილისის დინამოელები მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოება „გვარდიის" 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ასპარეზობაში (პოლონეთში). უცხოელ სტუმრებთან ითამაშებენ აგრეთვე „ბ" კლასის გუნდები.

## გუშინ ამსტერდამში

**ამსტერდამი.** 29 მაისს, საერთაშორისო ტურნირის VIII ტურში ბრონშტეინმა მოუგო პორატს, ბენკომ — დარგას. ბილეკ — ლარსენის, რეშევსკი — ივკოვის, გლიგორიჩ — ტალის, ფოგელმან — შტეინის, ევანს — ვრანეშიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა. პორტიშ — სმისლოვისა და პახმან — სპასკის გადადებულ პარტიებში უპირატესობა საბჭოთა დიდოსტატების მხარეზეა.

## უძლიერეს კალათბურთელთა ასპარეზობა

მესამე დღე: „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) 50:47 (26:21), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — უნივერსიტეტი (ტარტუ) 55:43 (23:24), „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 55:53 (29:25), „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) — „პოლიტექნიკი" (კაუნასი) 50:48 (27:21), „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — სპი (თბილისი) 45:42 (17:23), სკა (ლენინგრადი) — ტტტ (რიგა) 53:45 (24:24).

## ასეთი თამაში ჩემპიონს არ შეშვენის

მას შემდეგ, რაც რიგის კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატში პირველი ადგილი გაინაღდეს, მათთვის, როგორც ჩანს, დარჩენილმა შეხვედრებმა ინტერესი დაკარგა. ბოლო ორი მატჩი ჩემპიონმა მოუნდომებლად ჩაატარა და ზედიზედ ორი დამარცხება იწვნია. წარუმატებელი ფინიში ოქროს მედალოსანთა პრესტიჟს ჩრდილს აყენებს.

თბილისის ტური ლენინგრადის „ბურევესტნიკისთვის" „იღბლიანი" გამოდგა. სტუდენტთა კოლექტივმა ზედიზედ სამი გამარჯვებით ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლაში სერიოზული განაცხადი შეიტანა. ასევე წარმატებით გამოდის კიევის „დინამო", რომელმაც თბილისში მხოლოდ ერთი თამაში წააგო.

დასანანი ჩავარდნები აქვთ ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებს. ლენინგრადის არმიელთა გუნდთან ლამაზი გამარჯვების შემდეგ თბილისელმა სტუდენტებმა მიუტევებელი მარცხი განიცადეს „სერპ ი მოლოტთან" შეხვედრაში. ძნელი წარმოსადგენი იყო იმ მატჩის წაგება, რომლის პირველი ნახევარი მასპინძლებმა დამაჯერებლად მოიგეს.

პირველი ნახევრის 6-ქულიანი უპირატესობა შესვენების შემდეგ უეცრად გაქრა. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა კუკანოვამ რამდენიმე ზუსტი სროლით ანგარიში გაათანაბრა — 23:23. დაიწყო ნერვიული და დაძაბული ბრძოლა ყოველი ბურთისთვის, ყოველი ქულისთვის. ამ ბრძოლას კარგად შეეწყო თბილისელთა ახალგაზრდა თავდამსხმელი სანაძე, რომელმაც დროულად შეცვალა რუსკინა. მასპინძლები ერთხელ კიდევ დაწინაურდნენ (42:38) და ამჯერად მათი გამარჯვება თითქოს ეჭვს აღარც იწვევდა, მაგრამ... სწორედ ბოლო წუთებში უმტყუნა ჩვენს გუნდს ნერვებმა. სიჩქარეში მან მიუტევებლად დაკარგა ზედიზედ რამდენიმე გადაცემა. სტუმრებმა გულდამშვიდებით მიიღეს ეს „უხვი ძღვენი" და.., გაისმა საფინალო სასტვენიც.

**ნ. გუგუშვილი**

### გათამაშების ცხრილი
### I—XII ადგილები
მდგომარეობა 30 მაისისათვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 19 | 17 | 2 | 17 |
| სკა ლენინგრადი | 19 | 13 | 6 | 13 |
| „ბურ". ლენინგრ. | 19 | 12 | 7 | 12 |
| „ტექსტილმ." ტშ. | 19 | 11 | 8 | 11 |
| უსკ ტარტუ | 19 | 10 | 9 | 10 |
| სიმ მოსკოვი | 19 | 10 | 9 | 10 |
| სპი თბილისი | 19 | 8 | 11 | 8 |
| „დინამო" კიევი | 19 | 8 | 11 | 8 |
| „ურალმაში" სვ. | 19 | 8 | 11 | 8 |
| „სიბირიაჩკა" ნს. | 19 | 7 | 12 | 7 |
| „პოლიტექნიკი" კნ. | 19 | 6 | 13 | 6 |
| „სპარტაკი" მ. ო. | 19 | 4 | 15 | 4 |

## ტურნირი იღებს ტემპს

რაც დღე გადის, ამსტერდამის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი სულ უფრო იღებს ტემპს.

VII ტურში საბჭოთა დიდოსტატები (სპასკისა და სმისლოვის გარდა, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ) თამაშობდნენ უცხოელ კოლეგებთან. ამ დღეს ბრონშტეინი ყაიმს დაჯერდა სახელგანთქმულ იუგოსლაველ დიდოსტატ გლიგორიჩთან, ხოლო შტეინი — გამოჩენილ ჩეხ დიდოსტატ პახმანთან. ტალმა გადადო პარტია არგენტინელ ფოგელმანთან. დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე სპასკი — სმისლოვის შეხვედრაც.

კვლავ წარმატებით ითამაშა ლარსენმა. მან სძლია ბერგერს, რომელმაც წაგებების „რეკორდი" (ექვსი შვიდიდან) დაამყარა. კარგად ითამაშა შავებით რეშევსკიმ ვრანეშიჩთან და გაიმარჯვა. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

ერთსაათიანი შესვენების შემდეგ განახლდა ბრძოლა გადადებულ პარტიებში. ტალმა მოუგო ფოგელმანს, ივკოვმა — ლენდიელს, ხოლო კვინონესმა პირველი დამარცხება მიაყენა ბენკოს. კვლავ გადაიდო რეშევსკი — ევანსისა და სპასკი — სმისლოვის პარტიები. სპასკის თუმცა პაიკი აკლია, მაგრამ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ყაიმია მოსალოდნელი. რეშევსკის აშკარა უპირატესობა აქვს.

27 მაისს, როცა ტურნირის მონაწილეებს გამოსასვლელი დღე ჰქონდათ, რეშევსკისა და როსეტოს თხოვნით შედგა მათი პარტია X ტურიდან. პარტია მოიგო რეშევსკიმ.

## 3. სსრ კავშირი — შვეცია




...შეტევაში ჩართული ვორონინი მარცხენა ფლანგიდან სწრაფად უახლოვდება შვედების საჯარიმო მოედანს და ბურთს ივანოვს გადასცემს. წამიც, და ვორონინს გადაცემა უბრუნდება. იგი ზუსტი, ძლიერი დარტყმით მესამე ბურთს ახვევს მოწინააღმდეგის კარის ბადეში.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## „იუბილე" არ შედგება

წინასწარი მონაცემებით, 490 კილომეტრი გაიფრინა მოსკოვის ელექტრონული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის სტუდენტმა ო. მანაფოვამ პლანერით „ბლანიკი", რომელზეც მგზავრი ეჯდა. ამ გაფრენით, რომელიც განხორციელდა სერპუხოვ — კადის (კოსტრომის ოლქი) მარშრუტით, სპორტსმენმა 44 კილომეტრით გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი ორადგილიანი პლანერით შორს გაფრენაში. ადრინდელი რეკორდი ეკუთვნოდა საბჭოთა სპორტსმენ-პლანერისტს ო. კლეპიკოვას. ერთი წლის შემდეგ ამ რეკორდს უნდა გადაეხადა არსებობის 25 წლისთავი: კლეპიკოვას ფრენა შედგა 1940 წელს. მაგრამ ახლა „იუბილე" არ ჩატარდება.

ო. მანაფოვას რეკორდი წარდგენილია ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სპორტის კომისიაზე დასამტკიცებლად. (საკდესი).

## ოლიმპიელები გაემგზავრნენ ტოკიოს საგზურისთვის

როგორც ცნობილია, 31 მაისს შედგება შერჩევითი მატჩი საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებს შორის.

ამ შეხვედრაში მონაწილეობისთვის მოსკოვიდან ლაიფციგში გაემგზავრნენ საბჭოთა ფეხბურთელები: მეკარეები — ურუშაძე, ლისიცინი; მცველები — მუდრიკი, შესტერნიოვი, შუსტიკოვი, კორნეევი, გლოტოვი, დანილოვი, პონომარიოვი; ნახევარმცველები — ანიჩკინი, მასლოვი, ბიბა; თავდამსხმელები — ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, ლობანოვსკი, სევიდოვი, მალაფეევი, ბურჩალკინი და კოპაევი.

* * *

ამ დღეებში ოლიმპიელები შეხვდნენ ცსკა-ს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## ცხენებმა რაღა დააშავეს?

ქუთაისი სპორტული ტრადიციების ქალაქია. ნაყოფიერად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობისა და სხვა სექციები. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით საცხენოსნო სპორტზე. თუ გასულ წლებში რესპუბლიკის ცხენოსანთა ნაკრებ გუნდში ქუთაისელებიც შედიოდნენ, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ახლა სავალალოა. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა სპორტის ამ სახეობაში მომეცადინეთა რიცხვი, უნუგეშო მდგომარეობაში არიან... ცხენებიც.

საცხენოსნო ბაზაში მისვლისას თვალში გეცემათ ნახევრად დანგრეული თავლა: მასში წყალი ჩამოდის, კედლების ნაწილი ჩამოშლილია, ხოლო რაც დღემდე სასწაულით გადარჩენილა, ისიც მალე დაინგრევა. ცხენებს დგომა უხდებათ ტალახში. ხუთ თვეზე მეტია ამ ძვირფას პირუტყვებს თხრილში დაგუბებულ ბინძურ წყალს ასმევენ..., იქვე კი წყალსადენის მილები გადის, რომლის შეკეთების შემთხვევაში ცხენები სუფთა წყალს მაინც დალევდნენ.

ისინი, ვისაც ცხენების მოვლა ავალია, იმით ხომ არ სარგებლობენ, რომ პირუტყვებს, სამწუხაროდ, არ შეუძლიათ საჩივრების წერა?!

ქუთაისის სათანადო ხელმძღვანელმა ორგანოებმა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ ეს ყოვლად არანორმალური მდგომარეობა.

**ჯ. ლომსაძე**

ქუთაისი.

## 1.500 ტანმოვარჯიშის მონაწილეობით

თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა სპორტულ ტანვარჯიშში, პირველ ყოვლისა, ღირსშესანიშნავი იყო მასობრიობით. პიონერთა რაზმეულების, საშუალო სკოლების, რაიონული სპორტსკოლებისა და ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის 1.500-მდე ნორჩი სპორტსმენი ცდიდა ძალებს დედაქალაქის მოსწავლეთა ამ შეჯიბრებაზე.

მონაწილეთა მრავალრიცხოვნებამ თავი იჩინა შეჯიბრების პროგრამის სიმდიდრეშიც: „ნორჩი ტანმოვარჯიშის" თანრიგიდან დაწყებული, თბილისელი მოსწავლეები გამოდიოდნენ აბსოლუტურად ყველა დონეზე, სპორტის ოსტატთა პროგრამის ჩათვლით. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება, როცა დიფერენცირებით მივუდგებით გოგონათა და ჭაბუკთა გამოსვლებს. ჭაბუკთა უმაღლესი პროგრამა, გოგონებისგან განსხვავებით, იყო მხოლოდ I თანრიგის ვარჯიშები, რაც ბოლო დროს ერთობ არასახარბიელო „ტრადიციად" იქცა.

სამაგიეროდ, ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა გაგვახარეს კარგი მაჩვენებლებით თვით უმაღლეს თანრიგებშიც კი. და თუ ეს გარემოება ნაწილობრივ მაინც მსაჯების გამოუცდელობას და უნებლიე ლიბერალობას არ მიეწერება (მნიშვნელოვანწილად მსაჯობდნენ მოსწავლეები), შეჯიბრებამ მოგვცა ბრწყინვალე შედეგები: სპორტის ოსტატთა პროგრამის ვარჯიშებში გოგონათა შორის ოსტატის შედეგი აჩვენა 12-მა ტანმოვარჯიშემ, მათგან 7-მა — პირველად. პირველ თანრიგში ნორმატივი შეასრულა 20-მა გოგონამ და 10-მა ჭაბუკმა, ხოლო ოსტატობის კანდიდატთაგან — 6-მა მოსწავლე სპორტსმენმა.

თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: გოგონათა შორის — მ. დავითაშვილი (ლენინის რაიონი) — 74,7 ქულა, ჭაბუკთა შორის — ტ. მუჩიაშვილი (26 კომისრის რაიონი) — 112,15.

**შ. ჯულელი**

* * *

სურათებზე: თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები ტანვარჯიშში მ. დავითაშვილი (მარცხნივ) და ტ. მუჩიაშვილი.

ფოტო ი. იუნაევისა.





## იყო და... არა იყო რა

ორჯონიკიძის რაიონის წყალფორეთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედანი სამი სოფლის — ლახუნდარის, ხონისა და წყალფორეთის — სპორტის მოყვარულებს ემსახურებოდა. იგი, მართალია, არ იყო პირველხარისხოვანი ბაზა, მაგრამ ახალგაზრდობის ძალებით მოწყობილი ნაგებობაც აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს. ვვარჯიშობდით ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ვაწყობდით შეჯიბრებებს.

ასე იყო წლევანდლამდე. წელს კი „თამაშგარე" მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ახალგაზრდობის თავშეყრისა და წრთობის ადგილი სამოსახლოდ გასცეს, სამაგიერო ნაკვეთის გამოყოფაზე კი არავის უფიქრია. ისედაც თვითდინებაზე მიშვებული მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა მთლიანად ჩაკვდა.

რა დავაშავეთ?

**ი. მაჭავარიანი, მ. კოვზირიძე, ნ. სამხარაძე, გ. ხიჯაკაძე და სხვ. სულ წერილს ხელს აწერს 10 კაცი.**

## ბათუმის „დინამო" ამარცხებს „შახტიორს"

ბათუმი, 29 მაისი. (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა ადგილობრივი „დინამოსა" და საკავშირო ჩემპიონატის ლიდერის — დონეცკის „შახტიორის" ამხანაგური მატჩი.

თავიდან ინიციატივა დონეცკელების მხარეს იყო, მაგრამ მასპინძელთა დაცვა თავგამოდებით უვნებელყოფდა სტუმრების სახიფათო გარღვევებს. თანდათან ბრძოლა გათანაბრდა. მე-14 წუთზე დიმანოვის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მოულოდნელად გაეხვია სტუმრების კარში. 15 წუთის შემდეგ კაზაკოვმა ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მწვავე მომენტებით არც მეორე ტაიმი იყო ღარიბი. თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა „შახტიორის" მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად „მოცელა" რამიშვილი. დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომლის ოსტატური რეალიზება თვით დაზარალებულმა მოახდინა.

მატჩი დამთავრდა ბათუმელების გამარჯვებით — 2:1.

**ვ. მოსეშვილი**

# „ინტერნაციონალე“ ამარცხებს „რეალს“

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი

27 მაისს ვენის „პრატერ-სტადიონზე“ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში, რომელმაც 75 ათასი მაყურებლის დაუცხრომელი ინტერესი გამოიწვია. ერთმანეთს შეხვდნენ თასის ხუთგზის მფლობელი — მადრიდის „რეალი“ და ამ ტურნირის დებიუტანტი — მილანის „ინტერნაციონალე“.

მატჩის პირველი წუთები აღინიშნა ესპანელი ფორვარდების შეუნელებელი აქტივობით. ისინი მეტოქეებზე უკეთესად ფლობდნენ ბურთს და ოსტატურ კომბინაციებს ახორციელებდნენ, მაგრამ იტალიელ მცველთა თავგანწირული და ტაქტიკურად გამართული თამაშის წყალობით ესპანელთა იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, მე-3 წუთზე ესპანელები სასწაულით გადაურჩნენ აშკარა გოლს.

თანდათან ოამაში გათანაბრდა და შესვენებამდე დარჩენილი დრო ორმხრივ იერიშებსა და უაღრესად საინტერესო ბრძოლაში იწურებოდა. იგრძნობოდა, რომ იტალიელები უფრო მწვავედ და მიზანდასახულად უტევდნენ.

„ინტერნაციონალეს“ მძაფრმა იერიშებმა ნაყოფიც გამოიღო: მცველმა ფაკეტიმ თავისი საჯარიმო მოედნიდან ღრმა რეიდი გააკეთა და ბურთი ზუსტად გადააწოდა მაცოლას, რომელმაც ოსტატური ფინტით უკან ჩამოიტოვა სანტამარია და ძლიერი დარტყმით გაიტანა ბურთი „რეალის“ კარის ზედა კუთხეში. 1:0.

ეს მოხდა 43-ე წუთზე.

იტალიელთა უპირატესობა მეორე ტაიმში უფრო საგრძნობი გახდა. 62-ე წუთზე მილანიმ 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით მეორე ბურთი გაგზავნა ესპანელთა კარის დაბალ კუთხეში.

7 წუთის შემდეგ იტალიელთა კართან „რეალმა“ კუთხური ჩამოაწოდა და ნახევარმცველმა ფელომ გაქვითა ერთი ბურთი.

76-ე წუთზე შესანიშნავად მოთამაშე მაცოლამ ანგარიში სამამდე გაზარდა.

მატჩი დამთავრდა „ინტერნაციონალეს“ გამარჯვებით — 3:1. ე. ერერას გუნდის დებიუტი დიდი წარმატებით აღინიშნა.

გამარჯვებული გუნდი შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: სარტი — ბურგნიჩი, ფაკეტი, ტაგნინი, გუარნერი — პიჩი, ჟაირი — მაცოლა, მილანი, სუარესი, კორსო.

უნდა აღინიშნოს, რომ შარშან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს მილანის მეორე გუნდი — „მილანი“ დაეუფლა.

# ქერათმიანი შველი გოგონა...

ასე უწოდებენ შვეციაში 16 წლის მოცურავეს, ევროპის რეკორდსმენს ან-ქრისტიან ჰაგბერგს. გასულ წელს ტოკიოში გოგონამ მოიგო თავისუფალი სტილით ცურვა 100 და 200 მეტრზე.

სპეციალისტები ჰაგბერგში დ. ფრეზერის სერიოზულ მეტოქეს ხედავენ. „ქერათმიანი შველი გოგონა, — წერს ავსტრიის გაზეთი „ფოლკშტიმე“, — ამჟამად იმდენად კარგ ფორმაშია, რომ შვეციის ცურვის ასოციაციას იგი ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად მიაჩნია“.

# 4. სსრ კავშირი — შვეცია

## „ოქროს ბურთი“

საბჭოთა კავშირისა და შვეციის ფეხბურთელთა გუნდების მატჩის წინ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მეტად თბილი და სამახსოვრო ცერემონიალი გაიმართა. ლევ იაშინს, როგორც გასული წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, გადაეცა ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული პრიზი — „ოქროს ბურთი“.

„ფრანს ფუტბოლის“ მთავარი რედაქტორი მაქს იურბინი და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ნ. რიაშენცევი მწვანე მინდორზე გავიდნენ. როგორც კი რადიოთი გამოაცხადეს, რომ იუბილარს საპატიო ჯილდო გადაეცემა, სტადიონის ხალხით სავსე ტრიბუნებმა და მოედნის შუაგულში მოწყობილმა გუნდებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოეს საბჭოთა ნაკრების ვეტერანი. იაშინი თვალის დახამხამებაში კორესპონდენტების „ალყაში“ და ფოტოაპარატების „სამიზნეებზე“ მოექცა.

სურათზე თქვენ ხედავთ „ოქროს ბურთით“ ხელაპყრობილ იაშინს.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.





## ინტერვიუ კ. ჰამრინთან

შვეციის ეროვნული ნაკრების იმედმა, მოსკოვში საბჭოთა გუნდის კარში გატანილი ერთადერთი ბურთის ავტორმა — მარჯვენა გარემარბმა კურტ ჰამრინმა მატჩის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კორესპონდენტებს შემდეგი განუცხადა:

— ბედნიერი ვარ, რომ ორივე მეოთხედფინალურ მატჩში თითო „შვედური“ გოლის ავტორი გავხდი. ეს არ გახლავთ იოლი საქმე: თქვენს კარს ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე — იაშინი იცავს!

საბჭოთა გუნდიდან ვერავის გამოვყოფ, რადგან ყველა მოთამაშე ამ მატჩში ერთნაირად ძლიერი იყო.

# ორი საერთაშორისო ტურნირი

20-28 ივნისს ჩატარდება საინტერესო საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „მილანის თასის“ სახელწოდებით. მასში მონაწილეობას მიიღებს 4 გუნდი: „მილანი“, „ინტერნაციონალე“, „ბოლონია“ (იტალია) და „სანტოსი“ (ბრაზილია). თავიდან განზრახული იყო ტურნირში მადრიდის „რეალის“ მონაწილეობაც, მაგრამ ამ კლუბმა უარი განაცხადა, ამიტომ მასპინძლებმა „ბოლონია“ მიიწვიეს. ამით მილანის კლუბები აპირებენ ერთგვარად შეარბილონ ის დაძაბული განწყობილება, რომელიც მათ აქვთ „ბოლონიასთან“ დოპინგის გამო სკანდალის შემდეგ.

შეჯიბრება „მილანის თასზე“ უკვე ტრადიციად იქცა. შარშან აქ მონაწილეობდა სამი გუნდი — „მილანი“, „ინტერნაციონალე“ და „სანტოსი“. შეჯიბრება დამთავრდა „მილანის“ გამარჯვებით.

თითქმის ერთდროულად, 19—24 ივნისს, ტურინში ჩატარდება კიდევ ერთი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს ასევე 4 გუნდი: „იუვენტუსი“, „ტორინო“, „სან-პაულო“ (ბრაზილია) და „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია). როგორც ბელგრადის გაზეთი „სპორტი“ იუწყება, ბრაზილიელთა უარის შემთხვევაში იტალიელებს განზრახული აქვთ მიიწვიონ ბელგიის უძლიერესი კლუბი „ანდერლეხტი“. რაც შეეხება „ცრვენა ზვეზდას“, იგი უკვე დათანხმდა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ტურნირში.

# „რომას“ კომბინაციები

იტალიის ერთ-ერთ უმდიდრეს საფეხბურთო კლუბს „რომას“ წლების განმავლობაში არაფერი შველის. იგი არ ერიდება ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეების ყიდვასაც კი, მაგრამ შედეგი არ ჩანს. გუნდი იტალიის ჩემპიონატებში, როგორც წესი, უმნიშვნელო ადგილებს იკავებს.

ცნობილია, რომ იტალიის პირველი ლიგის კლუბებს მდიდარი მეცენატები ჰყავთ. „იუვენტუსს“ მფარველობს ავტოკონცერნ „ფიატის“ პატრონი ანელი, „ინტერნაციონალეს“ — მილანელი მილიონერი მორატი, „რომას“ — პატრონია გრაფი დეტინა. იგი მწვრთნელს მწვრთნელზე ცვლის, მაგრამ უშედეგოდ. ასე მაგალითად, უკანასკნელ სეზონებში „რომას“ სათავეში ედგნენ არგენტინელი კარნილია, იტალიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ფონი, ახლა კი — ესპანელი მირო.

სულ ახლახან დეტინამ გადაწყვიტა მოუხმოს ისეთ მწვრთნელს, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება. ასეთად მას მიაჩნია „ინტერნაციონალეს“ ახლანდელი მწვრთნელი ე. ერერა.

მაგრამ ერერა, როგორც ყოველთვის, მეტად ძვირად აფასებს თავის შრომას. მან „რომას“ 45 მილიონი ლირა მოთხოვა წლიურად. ეს ისეთი თანხაა, რომლის გადახდა თვით გრაფ დეტინასაც კი უჭირს, ამიტომ მათი მოლაპარაკება ჯერჯერობით უშედეგოდ დამთავრდა.

## საზღვარგარეთის ამბები

### კვლავ ხ. ფლორესი

კიურასაოელი ქვემძიმე წონის ძალოსანი ხ. ფლორესი პირველი სპორტსმენი იყო, რომელმაც თავისი ქვეყანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში მოათავსა. შემდეგ მან რეკორდი დაკარგა, მაგრამ, როგორც ჩანს, გულხელდაკრეფილი არ მჯდარა. ამას წინათ მან განაცვიფრა მსოფლიო თავისი შესანიშნავი რეკორდებით: აჭიმვაში აჩვენა 172,5 კილოგრამი, რაც საბჭოთა ძალოსან ნ. მირონენკოს მსოფლიო რეკორდზე 7 კილოგრამით მძიმეა. კლასიკურ სამჭიდში ფლორესმა 485 (172,5+132,5+180) კილოგრამი დააგროვა, რაც აგრეთვე მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდზე (ეკუთვნის ინგლისელ ლ. მარტინს) 5 კილოგრამით უმჯობესია, ხოლო საბჭოთა ძალოსან გ. ტროიცკის თვენახევრის წინათ ნაჩვენებ შედეგზე 2,5 კილოგრამით უკეთესია.

### კოპას „აქციებმა“ აიწია

განთქმული ფრანგი ფეხბურთელი, 33 წლის რ. კოპა ბევრ სპეციალისტს „ჩამოწერილად“ მიაჩნდა. იგი ბევრს ავადმყოფობდა, გამოყვანილ იქნა ნაკრებიდან, ხოლო მის კლუბს — „რეიმსს“ პირველი ლიგის დატოვებაც კი ემუქრებოდა.

მაგრამ კოპამ, რომელზეც ადრეც ბევრჯერ ჩაუქნევიათ ხელი, შეძლო ფორმის აღდგენა და კვლავ იქცა საფრანგეთის უძლიერეს თავდამსხმელად. მართალია, პრინციპული მოსაზრების გამო მწვრთნელ ვერიეს იგი აღარ მიუწვევია საფრანგეთის ნაკრებში, მაგრამ „რეიმსს“ კი თავისი ვეტერანი ძალზე გამოადგა. კოპას მწყობრში ჩადგომისთანავე კლუბმა რამდენიმე თამაში ზედიზედ მოიგო და თავი დააღწია სახიფათო ზონას.

ამ დღეებში პარიზს ეწვია იტალიის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი ე. ერერა, რომელმაც „რეიმსის“ ხელმძღვანელობას წინადადება მისცა მიყიდონ კოპა. საყურადღებოა, რომ რამდენიმე ხნის წინათ „რეიმსის“ მწვრთნელი არუფი საკმაოდ ირონიულად ლაპარაკობდა კოპაზე, რომელიც მაშინ ავადმყოფობდა, ახლა კი მან გადაწყვიტა თავისი მხსნელი კოპა იტალიელებს არ დაუთმოს.

### ვეტერანებმა დატოვეს გუნდი

ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების ახალი მწვრთნელი, გამოჩენილი უნგრელი სპეციალისტი ბ. გუტმანი დაპირდა ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციას, რომ მისი გუნდი დააღწევს თავს ხანგრძლივ კრიზისს და ღირსეულად შეხვდება მსოფლიო ჩემპიონატს. გუტმანმა მოითხოვა გარკვეული დრო და საერთაშორისო ამხანაგური მატჩების დიდი რაოდენობა ნაკრების გადასახალისებლად და შემადგენლობის დასადგენად.

პირველი, რამაც მიიქცია საერთო ყურადღება, იყო ის, რომ გუნდი დატოვეს ვეტერანებმა, ცნობილმა თავდამსხმელებმა ბუცეკმა, ნემეცმა და ჰოფმა, რომლებიც, მწვრთნელის აზრით, არ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს. ბუცეკის ნაცვლად ცენტრფორვარდად ითამაშებს 18 წლის გრაუზამი.

# ამერიკელი სპეციალისტები კალათბურთელთა ტურნეზე...

ევროპასა და სსრ კავშირში ჩატარებული ტურნეს შემდეგ ამერიკის მოყვარულ კალათბურთელთა ნაკრები გუნდი სამშობლოში დაბრუნდა. კორესპონდენტებთან საუბარში გუნდის წარმომადგენელმა კლევ ბაკმა განაცხადა:

— საზღვარგარეთ ყოფნისას ყველგან დიდი სითბოთი და გულგაშლილად გვიღებდნენ. პირადად ჩემთვის მოსკოვში ყოფნა საინტერესო იყო, რადგან იქ 1961 წელსაც გახლდით. განვაახლე ძველი ნაცნობობა საბჭოთა სპეციალისტებთან.

უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე სსრ კავშირის კალათბურთელებმა გიგანტური ნაბიჯები გადადგეს. იმ ნაკრებ გუნდებს შორის, რომლებიც მანამდე მყავდა ნანახი, ახლანდელი ყველაზე ძლიერია. ვფიქრობ, რომ მსგავსი მეგობრული ვიზიტები ხელს უწყობენ ამერიკისა და საბჭოთა ხალხების დაახლოებას.

შემდეგ კორესპონდენტები ესაუბრნენ გუნდის მწვრთნელს ჯონ მაკლენდონს.

კითხვა: როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ საბჭოთა კალათბურთელებთან შეხვედრების შემდეგ?

პასუხი: განსაკუთრებით ძლიერი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები. ჩვენ თამაში ყოველმხრივ მომზადებულ გუნდთან მოგვიხდა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით ნაკრების ძირითადი ბირთვი არ შეცვლილა, საბჭოთა კალათბურთელებმა მნიშვნელოვნად აიმაღლეს კლასი. მაყურებლები შესანიშნავად ერკვევიან თამაშის ნიუანსებში. სამი წლის წინანდელ შეხვედრებში ისინი დუმილის პოზიციას არჩევდნენ, ახლა კი მეტად ენერგიულად უჭერდნენ მხარს თავის გუნდს.

კითხვა: ვინ მიგაჩნიათ ტოკიოში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად?

პასუხი: ბრაზილია, იუგოსლავია, სსრ კავშირი და შეერთებული შტატები.

კითხვა: ვის თვლით ევროპაში ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ?

პასუხი: ახალგაზრდა ჩეხ კალათბურთელ ჟიდეკს.

კითხვა: როგორი ძალის იყო ამერიკის გუნდი?

პასუხი: ჩემი აზრით, ეს არ იყო ნაკრების საუკეთესო ვარიანტი, თუმცა მის რიგებში ოლიმპიური გუნდის ხუთი კანდიდატი თამაშობდა.

კითხვა: როგორი სხვაობა იქნება ამერიკის პროფესიულ გუნდსა და მოყვარულთა ყველაზე ძლიერ ნაკრებს შორის?

პასუხი: სხვაობა დაახლოებით 30-ქულიანი იქნება პროფესიულ კალათბურთელთა სასარგებლოდ. ეს არც არის გასაკვირი. პროფესიულ გუნდებში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა სპორტსმენთა მომზადებას. მოყვარულთა დიდი ნაწილი კი სწავლით არის დაკავებული და წვრთნისთვის ბევრ დროს ვერ პოულობს. (საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




6 ივნისიდან
ვენის ბალეტი ყინულზე
„აის რევიუ“
„ოცნება ბედნიერებაზე“
დასაწყისი: დღისით — 12 ს., საღამოს — 8 ს.
მიიღება განცხადებები კოლექტიურ დასწრებაზე (1 ივნისამდე).


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07890